საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №89/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 16 მაისის №89 და 6 ივნისის №107 საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლის მიერ საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაზე.

1.2. საჩივრის ავტორი თვლის, რომ მოსამართლე დაინტერესებულია საზიარო უფლების გაუქმებით -- -- სასარგებლოდ, რადგან მოითხოვა გამიჯვნა და საზიარო უფლების დათმობა. ამასთან, მკაცრად მოსთხოვა მის კერძო საკუთრებაში ექსპერტის შეყვანა, აგრეთვე აიძულა დათმობაზე წასულიყო მოპასუხესთან და მორიგებულიყო, რითაც ირღვევა შეჯიბრებითობის პრინციპი. საჩივრის ავტორის თქმით, მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლემ დაარღვია თათბირის საიდუმლოება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- -- 2018 წლის 14 მაისს სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, ქმედების აკრძალვის მოთხოვნით. კერძოდ, მის სახლსა და მის მეზობელ -- -- შორის არსებულ მიჯნაზე რაიმე სახის მშენებლობის ან ახალი ღობის მოწყობის აკრძალვის მოთხოვნით, მისი თანხმობის გარეშე.

-- -- მიერ 2018 წლის 25 ივნისს წარდგენილ იქნა შესაგებელი.

-- -- 2018 წლის 8 აგვისტოს შეგებებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- და -- -- მიმართ, საზიარო უფლების გაუქმების, თანასაკუთრების გამიჯვნის და ქმედების აკრძალვის მოთხოვნით.

-- -- მიერ 2018 წლის 21 აგვისტოს წარდგენილ იქნა შესაგებელი.

-- -- მიერ 2018 წლის 22 აგვისტოს წარდგენილ იქნა შესაგებელი.

-- -- სასამართლოს მოსამართლის -- -- მიერ 2018 წლის 31 განჩინებით, საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 14 ნოემბერს, 2018 წლის 29 ნოემბერს, 2019 წლის 22 მაისსა და 5 ივნისს. -- -- 2019 წლის 5 ივნისს შეგებებული სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- და -- -- მიმართ.

2.2. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით:

2.2.1. 2018 წლის მდგომარეობით:

- ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში - 14, საიდანაც დასრულდა - 14 (100%);
- საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე - 3, საიდანაც დასრულდა - 3 (100%);
- შუამდგომლობები სისხლის სამართლის საქმეზე - 49, საიდანაც დასრულდა - 49 (100%);
- სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმე - 1, საიდანაც დასრულდა - 1 (100%);
- სამოქალაქო საქმე (სასარჩელო წარმოება) - 79, საიდანაც დასრულდა - 36 (46%);
- სამოქალაქო საქმე (გამარტივებული და უდავო წარმოება) - 22, საიდანაც დასრულდა - 15 (68%);
- განცხადებები სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (სამოქალაქო საქმეზე) - 3, საიდანაც დასრულდა - 3 (100%);
- ადმინისტრაციული საქმე - 16, საიდანაც დასრულდა - 5 (31%);
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პრიმა თავებით გათვალისწინებული საქმეები - 22, საიდანაც დასრულდა - 15 (68%).
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე - 44, საიდანაც დასრულდა - 43 (98%).

2.2.2. 2019 წლის მდგომარეობით:

- ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში - 2, საიდანაც დასრულდა - 2 (100%);
- საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე - 2, საიდანაც დასრულდა - 2 (100%);
- შუამდგომლობები სისხლის სამართლის საქმეზე - 9, საიდანაც დასრულდა - 9 (100%);
- სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმეზე - 2, საიდანაც დასრულდა - 1 (50%);
- სამოქალაქო საქმე (სასარჩელო წარმოება) - 65, საიდანაც დასრულდა - 19 (30%);
- სამოქალაქო საქმე (გამარტივებული და უდავო წარმოება) - 24, საიდანაც დასრულდა - 3 (13%);
- განცხადებები სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ - 12, საიდანაც დასრულდა - 12 (100%);
- ადმინისტრაციული საქმე - 12, საიდანაც დასრულდა - 4 (33%);
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პრიმა თავებით გათვალისწინებული საქმეები - 1, საიდანაც დასრულდა - 1 (100%);
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე - 7, საიდანაც დასრულდა - 7 (100%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 14 ივლისის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 16 მაისის №89 და 6 ივნისის №107 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „დ“,„ვ“ და „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს.

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

4.1. საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოსამართლის მხრიდან ადგილი აქვს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს

წარმოადგენს - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ ვადის არსებითად დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გონივრულ ვადაში განხილული მნიშვნელოვანია განისაზღვროს - 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა, უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო

მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და ურთიერთშეჯერების შედეგად, მოცემულ შემთხვევაში, 1 წლისა და 2 თვის განმავლობაში (14/05/2018 - 14/07/2019) სასამართლოს მხრიდან რაიმე სახის საპროცესო მოქმედების განუხორციელებლობა და საქმის განხილვის ერთი და იგივე ეტაპზე ყოფნა (მოსამზადებელი ეტაპი), აზარალებს მხარის ინტერესებს, იწვევს მხარის ფუნდამენტური საპროცესო უფლებების და სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევას, რაც კონკრეტული შემთხვევის დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევისთვის ერთ-ერთ არსებით ელემენტს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში არსებული გარემოებების ერთობლივად შეფასების შედეგად (დატვირთულობა, საქმის სირთულე), არ არსებობს საკმარისი საფუძველი მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვის ვადის დარღვევა შეფასდეს საპატიოდ.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ თათბირის საიდუმლოების გამჟღავნება.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის მიხედვით მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ მსჯელობა, რომელიც მათ ჰქონდათ თათბირის დროს. ამავე კოდექსის 243-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით „მოსამართლეებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის დროს გამართული მსჯელობა“. მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავდა საქმეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა ან მხარეებთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. მოსამართლესთან სატელეფონო გასაუბრება ან ვიდეოკონფერენცია ხორციელდება სატელეფონო ხაზზე მხარეების ან მათი წარმომადგენლების ერთდროულად ჩართვით და ფიქსირდება ოქმის სახით. თუ მხარეები კანონით დადგენილი წესით გაფრთხილებული არიან სატელეფონო გასაუბრების ან ვიდეოკონფერენციის შესახებ და ვერ ხერხდება ერთ-ერთ მხარესთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, სასამართლო უფლებამოსილია გაესაუბროს მხოლოდ მეორე მხარეს ან მის წარმომადგენელს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი და უნდა მიიღოს კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ. საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით, მოსამართლე უფლებამოსილია, თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გამოაცხადოს შესვენება სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას და სხვა პირთა დასწრების გარეშე მოუსმინოს მხოლოდ მხარეებს ან მხოლოდ მათ წარმომადგენლებს. მოსამართლეს შეუძლია მიუთითოს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე და მხარეებს შესთავაზოს მორიგების პირობები. ამდენად, მხარეთა შორის მორიგების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარე სასარჩელო განცხადებაში ჩამოყალიბებულ მოთხოვნას ან ამცირებს ან კიდევ სხვა მოთხოვნით ცვლის, რასაც ეთანხმება მოპასუხეც. სხვანაირად რომ ვთქვათ, მხარეთა შორის მორიგება ვერ მიიღწევა, თუ მოსარჩელე და მოპასუხეც დათმობაზე არ წავლენ ერთმანეთის მიმართ.

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლე არათუ უფლებამოსილია, არამედ

ვალდებულიცაა მხარეთა შორის მორიგების მიზნით მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, განუმარტოს მხარეებს საქმის მორიგებით დასრულების მნიშვნელობა და შესთავაზოს მხარეებს მორიგება, დააკმაყოფილოს მხარეთა შუამდგომლობა მათ შორის მორიგების პირობებზე შეთანხმების მიზნით საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადების შესახებ, უფრო მეტიც, თვითონ შესთავაზოს მორიგების პირობები, მიუთითოს მხარეებს დავის გადაწყვეტის შესაძლო შედეგებზე. ამდენად, მოსამართლის განმარტებები, მიმართული როგორც მოსარჩელე ისე მოპასუხე მხარისადმი, განხილულ უნდა იქნეს ისეთ შემთხვევად, როდესაც მოსამართლე ცდილობს მხარეებს შორის მორიგების მიღწევას, რა დროსაც სხდომის ჩაწერის შეჩერება ხელს უწყობს მხარეთა თავისუფალ მსჯელობას, რაც ვერ შეფასდება საპროცესო ნორმების დარღვევად.

ჩატარებული სხდომების აუდიო ჩანაწერების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ჩატარებულ მოსამზადებელ სხდომებზე მოსამართლე შეეცადა მხარეთა მორიგებას, რა დროსაც მხარეებს შესთავაზა და ესაუბრა დავის მორიგებით დასრულების შესაძლებლობებზე, რისი მზაობაც დაფიქსირდა მხარეთა მხრიდან. ჩატარებული მოსამზადებელი სხდომები მიმდინარეობდა მხარეთა აქტიური ჩართულობით, რა დროსაც მოსამართლის მიერ რომელიმე მხარისთვის უპირატესობის მინიჭების ან შეზღუდვის, აგრეთვე რაიმე სახის იძულების ფაქტი არ გამოვლენილა, მათ შორის თათბირის საიდუმლოების დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლის მცდელობა საქმის მორიგებით დასრულებაზე და ამ პროცესის მიმდინარეობისას მოსამართლის მხრიდან გამოთქმული მოსაზრებები ვერ შეფასდება დისციპლინური კუთხით, მათ შორის საქმის საბოლოო შედეგზე წინასწარ გამოთქმულ მოსაზრებად თუ თათბირის საიდუმლოების დარღვევად, შესაბამისად, ვერ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

ამასთან, რაც შეეხება მოსამართლის იძულებას და საქმის რომელიმე მხარისადმი დაინტერესებას, მსგავსი ფაქტები საქმის მასალების შესწავლის, მათ შორის სხდომის ოქმების მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცხრა წევრმა, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის საფუძვლები.

შესაბამისად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტისა და 75^{13} მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №89/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი